ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8117093

ნომერი: AR11158382

თარიღი : 26.08.2026

გაცემის თარიღი : 09.10.2026

გაცნობის თარიღი : 09.10.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, N 72, კორპუსი 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა დანელიშვილი პ/ნ 13001027041
- გურჯაანი თამარ მეფის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 24 ივნისის №5466236 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 26 აგვისტოს №AR11158382 განცხადებით მომართა ბექა დანელიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის

24 ივნისის №5466236 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 24 ივნისის №5466236 ბრძანებით, №01.19.36.014.519 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2021 წლის 1 სექტემბრის №5577781 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 24 ივნისის №5466236 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატა გამორჩენილი დამხმარე 71.4 კვ.მ. ფართობი, ასევე, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 5075.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 538.4 კვ.მ., სარდაფის ფართობად 429.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 470.6 კვ.მ., საერთო ფართობად 6585.2 კვ.მ. და შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2021 წლის 9 აგვისტოს №AR1842996 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
სამსახურის 2023 წლის 24 თებერვლის №6342198 ბრძანებით მშენებლობის ვადის გასვლიდან გამომდინარე გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2024 წლის 5 მარტის №6917863 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2023 წლის 24 თებერვლის №6342198 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.
სამსახურის 2026 წლის 30 მარტის №7861872 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 24 ივნისის №5466236 ბრძანებაში და შეთანხმებული გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) ჩანაცვლდა 2026 წლის 25 თებერვალს №AR11131049 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2021 წლის 24 ივნისის №5466236 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 470.6 კვ.მ-ის ნაცვლად არის 544.2 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობი 6585.2 კვ.მ-ის ნაცვლად 6658.8 კვ.მ.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ შესაძლებელია, მათ შორის ნუმერაციისა და მაჩვენებლებისა გრაფიკულად დაზუსტების მიზნით, შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლება, წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 24 ივნისის №5466236 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 24 ივნისის №5466236 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 544.2 კვ.მ., საერთო ფართობად - 6658.8 კვ.მ.
2. სამსახურის 2021 წლის 24 ივნისის №5466236 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 24 ივნისის №5466236 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 24 ივნისის №5466236, 2021 წლის 1 სექტემბრის №5577781 და 2026 წლის 30 მარტის №7861872 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.